DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება



ძვირფასო DWV-ს წევრებო და მეგობრებო,

ჩვენს ქართულენოვან ბიზნეს ბიულეტენში ჩვენ თქვენთვის კვლავ შევაჯამეთ სიახლეები DWV-სა და მისი წევრი კომპანიების/პარტნიორების, ჩატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების, წევრების ექსკლუზიური შეთავაზებებისა და მნიშვნელოვანი ბიზნეს სიახლეების შესახებ. ბიულეტენის ბოლოს იხილავთ სპეციალურ შეთავაზებებს ჩვენი მკითხველებისთვის.

იცოდით, რომ?

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების ბიზნეს ფორუმი 2026 **წლის**, 8 ოქტომბრის ნაცვლად 7 **ოქტომბერს გაიმართება**.

ღონისძიების ყველა სხვა დეტალი უცვლელი რჩება.

ბიზნეს ფორუმი ჩვენს წევრებს შესაძლებლობას აძლევს, გაეცნონ ეკონომიკისა და გერმანულ-ქართული დიპლომატიური ურთიერთობების მიმართულებით აქტუალურ საკითხებს, გააზიარონ ხედვები და უშუალოდ შეხვდნენ და კომუნიკაცია დაამყარონ გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების სხვა წევრებთან.

რას გთავაზობთ DWV **ბიზნეს ფორუმი**?

სიახლეები გერმანიის საელჩოდან:
საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალი ელჩის, **ბარბარა ფოსის**, წარდგენა.

ლევან ნადიბაიძე წარმოადგენს კვლევას საქართველოს ეკონომიკური მომავლის შესახებ:
გაეცნობით კონკრეტულ წინადადებებსა და ხედვებს უფრო

პროდუქტიული, ექსპორტზე ორიენტირებული და დივერსიფიცირებული ეკონომიკური მოდელის შესახებ.

პირდაპირი დიალოგი:
ისარგებლეთ შესაძლებლობით, დასვათ თქვენთვის საინტერესო კითხვები, განიხილოთ აქტუალური ეკონომიკური საკითხები და გაეცნოთ გერმანულ-ქართული ბიზნესსაზოგადოების ხედვებს.

გთხოვთ, **მოინიშნოთ ახალი თარიღი** და თვალი ადევნოთ სიახლეებს!

ღონისძიების პარტნიორები



7 **ოქტომბერი** 2026 | The Biltmore Hotel Tbilisi
ბიზნეს ფორუმი

21 **ოქტომბერი** 2026 | Tbilisi Philharmonic by Mercure Hotel, 10 Petre Melikishvili, Tbilisi 0179
Get Together

21, 22 **და** 23 **ოქტომბერი** 2026 | Tbilisi Philharmonic by Mercure Hotel, 10 Petre Melikishvili, Tbilisi 0179
სემინარი – ISO **და ხარისხის მართვის ტრენინგი**

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, დაუკავშირდეთ ქალბატონ ნინო ცუცქირიძეს: nino.tsutskiridze@dwv.ge

ჩატარებული ღონისძიებები









2026 წლის სექტემბერში DWV-მ შემდეგი ღონისძიებები გამართა:

Expert Talk – Dr. Uwe Strohbach

Wirtschaftsstammtisch – Sheraton Grand Tbilisi Metechi Palace Hotel-ში

Meet the Member – ვიზიტი ავერსსა და ავერსი რაციონალში

AI **სემინარი** - Billie Jeurink-თან ერთად

შეთავაზებები ჩვენი წევრებისთვის



ARDI Insurance DWV-ის წევრ კომპანიებს სთავაზობს სპეციალურ პირობებსა და შეღავათიან ტარიფებს ინდივიდუალურად მორგებულ სადაზღვევო გადაწყვეტილებებზე. შეთავაზება მოიცავს თანამშრომელთა ჯანმრთელობის, ქონებისა და ბიზნეს აქტივების, ავტოტრანსპორტის, პასუხისმგებლობის, ტვირთებისა და გადაზიდვების, ასევე სამოგზაურო დაზღვევას და სხვა სპეციალიზებულ სადაზღვევო გადაწყვეტილებებს ბიზნესის სპეციფიკის შესაბამისად.

კომპანიის საჭიროებებისა და რისკების შეფასების საფუძველზე, ARDI-ის კორპორაციული გუნდი შეიმუშავებს შესაბამის სადაზღვევო გადაწყვეტილებას. ARDI-ს საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე 15 წელზე მეტი გამოცდილება აქვს და თანამშრომლობს მაღალი ფინანსური მდგრადობისა და A-რეიტინგის მქონე საერთაშორისო გადამზღვევ კომპანიებთან.

დამატებითი ინფორმაცია და საკონტაქტო დეტალები იხილეთ თანდართულ პრეზენტაციაში.



TBC Concept Flagship, რომელიც მარჯანიშვილის ქუჩა 7-ში მდებარეობს, თანამედროვე, მრავალფუნქციური სივრცეა თბილისის ცენტრში, სადაც ბიზნესი, კულტურა, შემოქმედება და დასვენება ერთიანდება.

საკონფერენციო და სამუშაო სივრცეებით, ქეითერინგის სერვისით, კაფითა და სხვა შესაძლებლობებით, სივრცე იდეალურია შეხვედრებისთვის, ვორქშოფებისთვის, ღონისძიებებისა და ქოვორქინგისთვის.

DWV-**ის წევრები** 2026 **წლის დეკემბრის ბოლომდე ღონისძიებებისთვის საკონფერენციო სივრცის ქირაობისას** 10%-**იანი ფასდაკლებით ისარგებლებენ**.



Tbilisi Philharmonic Hotel by Mercure ოქტომბერში სტუმრებს სპეციალურ გასტრონომიულ შეთავაზებებს სთავაზობს. ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 12:00-**დან** 15:00 **საათამდე**, შეგიძლიათ ისარგებლოთ Business Lunch-ით, რომლის ფასი 14 **ლარიდან** იწყება.

9 **ოქტომბერს**, 19:30 **საათზე**, DE CARNE Restaurant გიწვევთ ქართულ საღამოზე ცოცხალი მუსიკით, ქართული მოტივებით მომზადებული აპეტაიზერებითა და ჭიქა ღვინით. **ფასი**: 75 **ლარი ერთ ადამიანზე**.

10%-**იანი ფასდაკლება** Elica Georgia-**ში**

Elica Georgia წარმოგიდგენთ **განახლებულ ვებგვერდს**, სადაც შეგიძლიათ გაეცნოთ **სამზარეულოს გამწოვებს**, **ინდუქციურ ზედაპირებს**, **ღუმელებსა და სხვა სამზარეულოს ტექნიკას**.

DWV-**ის წევრები ისარგებლებენ** 10%-**იანი ფასდაკლებით სტოკში არსებულ მოდელებზე**.

დამატებითი ინფორმაცია: www.elica-georgia.ge



წევრების სიახლეები

ARDI **და** LXM Media & Publishing:
ARDI, LXM Media & Publishing-თან თანამშრომლობით, Wizz Air-ის მგზავრებისთვის სამოგზაურო დაზღვევის ახალ კამპანიას იწყებს. ელექტრონული ავიაბილეთის მიღების შემდეგ მგზავრებს შესაძლებლობა ექნებათ, ისარგებლონ ARDI-ის სამოგზაურო დაზღვევის ექსკლუზიური შეთავაზებებით. შეთავაზება განკუთვნილია როგორც ევროპაში მიმავალი საქართველოს მოქალაქეებისთვის, ასევე Wizz Air-ის რეისებით საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო ვიზიტორებისთვის.

Silk Hospitality:
სასტუმროები Tsinandali Estate და The Telegraph Hotel 2026 წელსაც MICHELIN Guide-ის MICHELIN Keys-ით დაჯილდოვდნენ. ეს საერთაშორისო აღიარება მათ გამორჩეულ სასტუმრო გამოცდილებასა და მომსახურების მაღალ ხარისხს უსვამს ხაზს.

CENN:
ევროკავშირის მხარდაჭერით, CENN-მა კახეთსა და აჭარაში საგრანტო კონკურსი გამოაცხადა. დაფინანსდება პრაქტიკული ინიციატივები, რომლებიც ნარჩენების შემცირებასა და ცირკულარული ეკონომიკის განვითარებას ემსახურება. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2026 **წლის** 19 **ოქტომბერი**.

Bank of Georgia:
Bank of Georgia-მ Business Mobile Banking-სა და Internet Banking-ს ინვოისების მართვის ახალი ფუნქცია დაამატა. კომპანიებს ახლა შეუძლიათ ინვოისების ერთ სივრცეში შექმნა, გაგზავნა და მიღება, ასევე მათი გადახდის სტატუსის კონტროლი. ფუნქცია ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზეც.

[ყველა სიახლეს გაეცნობით აქ]

საინტერესო ამბები ეკონომიკიდან

საქართველოს პარლამენტი:
პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა საგადასახადო კოდექსში ცვლილებას, რომლის მიხედვითაც ფიზიკური პირებისთვის ქონების გადასახადისგან გათავისუფლების შემოსავლის ზღვარი 40 000 **ლარიდან** 100 000 **ლარამდე** იზრდება.

ცვლილება ძალაში გამოქვეყნებისთანავე უნდა შევიდეს და გავრცელდეს უკვე 2026 **წელს დეკლარირებად ქონების გადასახადზეც**.

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება
რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი
Tel.: +995 32 220 57 67
E-Mail: info@dwv.ge
www.dwv.ge

ბიზნეს ბიულეტენის გამოწერის გასაუქმებლად დააჭირეთ ქვემოთ მითითებულ ბმულს.